ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,სამგორის

რაიონის მაჟორიტარი წევრის გიორგი ტყემალაძის 2018 წლის ანგარიში

2018 წლის ნოემბერი

შესავალი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო ეს არის კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო – მუნიციპალიტეტის საკრებულო.

მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნებზე, 4 წლის ვადით, ამომრჩევლებმა აირჩიეს საქართველოს დედაქალაქის, თბილისის თვითმმართველი ორგანოს – საკრებულოს 50 წევრი, აქედან 25 წევრი – ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

2017 წლის 14 ნოემბერს შედგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს სხდომა. სხდომაზე თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავისი შემადგენლობიდან, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით აირჩია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს უფლებამოსილება და საქმიანობა განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა

საკრებულოს თავმჯდომარე ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს:

- საკრებულოს სხდომების ორგანიზება, საკითხების განხილვა, გადაწყვეტილებების მიღება;
- საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული საქმიანობის ხელმძღვანელობა;
- საკრებულოს წამომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება;

VI მოწვევის საკრებულოს მიერ განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები

VI მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 კომისია და 5 ფრაქცია.



საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობის შედეგად ხდება დედაქალაქის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:
- 29 სხდომა
- 28 ბიუროს სხდომა

საკრებულოს სხდომებზე სულ განხილულ იქნა 524 საკითხი, მიღებულ იქნა, 397 განკარგულება და 127 დადგენილება

საკრებულოს კომპეტენციის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებები დედაქალაქის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, მათ შორის:

- თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი;
- ურბანული განვითარება;
- ტრანსპორტი;
- ეკოლოგია და გამწვანება;
- სოციალური უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა;
- ეკონომიკური პოლიტიკა;
- მუნიციპალური ქონების მართვა;
- გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დედაქალაქში განხორციელდა და ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი



თბილისის ბიუჯეტი 74 მლნ ლარით გაიზარდა, რამაც ქალაქის შესაძლებლობები გააფართოვა. თანხები, ძირითადად მიმართულია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და დედაქალაქის სარეაბილიტაციო სამუშოების განსახორციელებლად.



საკრებულოს აპარატის ორგანიცაზიული საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობა

საკრებულოს მუნიციპალიტეტის საქმიანობას ორგანიზაციულად უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

საკრებულოს აპარატის ამოცანებია: საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციული, იურიდიული, დოკუმენტური, საინფორმაციო, საფინანსო და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

აპარატის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარე. აპარატს ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულოს აპარატის ორგანიზაციული სტრუქტურა განისაზღვრება აპარატის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.



საკრებულოს წამომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს. 2017 წლის 8 დეკემბერს იგი არჩეულ იქნა „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის“ (ათეა) ვიცე-პრეზიდენტის პოზიციაზე, რომლის ფარგლებშიც აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების შესახებ მსჯელობებში, როგორც საქართველოში, ისე, მის საზღვრებს გარეთ.

- <u>08.12.2017. თბილისი.</u> სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერია“-ში „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის“ VI ეროვნული ასამბლეა გაიმართა. ასამბლეაზე საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ახალი პრეზიდენტი აირჩიეს.

- <u>12.01.2018. თბილისი.</u> საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს XIX სხდომაზე ,,ათეას“ ვიცე - პრეზიდენტები

დაამტკიცეს და ასევე, ევროპის საბჭოს კონგრესის ადგილობრივი ხელისუფლების პალატაში საქართველოს დელეგაციის კანდიდატების საკითხზე იმსჯელეს.

- 12.02.2018. გურჯაანი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ორგანიზებით, მედიის წარმომადგენლებთან არაფორმალური შეხვედრა გაიმართა. ღონისძიება ნორვეგიის თვითმმართველობათა ასოციაციისა და ,,ათეა“- ს 2015-2018 წლების თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში მოეწყო.

- 02.03.2018. თბილისი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ, აღმასრულებელი საბჭოს რიგით XXX სხდომა მოიწვია, რომელზეც დღის წესრიგით გათვალისწინებული 5 საკითხი განიხილეს. საბჭოს წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ,,ათეა''- ს ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ტყემალაძე აირჩიეს, რის შემდეგაც საერთაშორისო ორგანიზაციებში მუდმივმოქმედი დელეგაციების კანდიდატურებზე იმსჯელეს.

- 05-06.05.2018. ახალციხე. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტები - გიორგი ტყემალაძე და თამარ ტალიაშვილი, ასევე ,,ათეა"-ს აღმასრულებელი დირექტორი - დავით მელუა და ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე - ნათია ღვინაშვილი პირველ ყოველწლიურ ფორუმს ,,სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგი'' დაესწრნენ.

- 14.05.2018. თბილისი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა, თბილისის მერმა - კახა კალაძემ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან - მიხეილ ჯანელიძესთან და ,,ათეა''-ს ვიცე-პრეზიდენტთან, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან - გიორგი ტყემალაძესთან ერთად ევროპის დღეების ფარგლებში გამართულ კონფერენციაში „ევროპა-საქართველოს ისტორიული არჩევანი“ მიიღო მონაწილეობა.

- 15.05.2018. თბილისი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, თბილისში პირველი ეროვნული კონფერენცია - ,,გენდერული თანასწორობის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე" გაიმართა. ღონისძიებას, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით გაიმართა, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, გენდერული თანასწორობის მუნიციპალური საბჭოების წევრები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები, მათ შორის ,,ათეა"-ს ვიცე-პრეზიდენტი - გიორგი ტყემალაძე, ამავე ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი - დავით მელუა და მისი მოადგილე - ნათია ღვინაშვილი ესწრებოდნენ.

- 29.06.2018. თბილისი. ევროსაბჭოს კონგრესის გენერალური მდივნის - ანდრეას კიფერის ვიზიტთან დაკავშირებით, სასტუმროში ,,ჰოლიდეი ინ თბილისი" შეხვედრა გაიმართა, რომელიც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტმა, დედაქალაქის მერმა - კახა კალაძემ გახსნა. შეხვედრაზე განხილულ იქნა დეცენტრალიზაციის პროცესის სიახლეები და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა, რომელიც ევროპის საბჭოს მონიტორინგის მისიამ დადებითად შეაფასა.

- 09.07.2018. ყვარელი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული

ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე, ათეა-ს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან - ნათია ღვინაშვილთან ერთად ,,სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის"' II ფორუმს დაესწრო. ღონისძიების მონაწილეებმა თვითმმართველობებში რეფორმის კონტექსტში არსებულ გამოწვევებსა და ხედვებზე, კერძოდ კი, მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო შიდა ფინანსების კონტროლის რეფორმაზე, სასკოლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის მიზნით თვითმმართველობებისთვის უფლებამოსილებების გადაცემის საკითხზე, ასევე მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდულ პოლიტიკაზე იმსჯელეს და აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით საკუთარი წინადადებები წარმოადგინეს. ორდღიან ღონისძიებაში

საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებთან ერთად, მუნიციპალიტეტების საკრებულოების თავმჯდომარეებმა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

- 12.07.2018. თბილისი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის ინიციატივით, ათეა-ს წარმომადგენლებმა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელმძღვანელ პირებთან, ასევე არასამთავრობო სექტორის წევრებთან და ექსპერტებთან შეხვედრა გამართეს. ღონისძიებაზე, რომელიც ათეა-ს აღმასრულებელმა დირექტორმა - დავით მელუამ გახსნა, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებასა და დეცენტრალიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე იმსჯელეს.

სამინისტროს წარმომადგენლებმა დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ახალ კონცეფციაზე ისაუბრეს და დამსწრე საზოგადოებას ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

- 22.09.2018. გურჯაანი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ (NALAG) რიგით XXXI სხდომა მოიწვია. გასვლით სხდომაზე, რომელსაც ათეა-ს პირველი ვიცე-პრეზიდენტი, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ტყემალაძე ხელმძღვანელობდა, ასოციაციის 6 თვის ანგარიში მოისმინეს.

- 29.09.2018. თბილისი. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALAG) ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ეფექტიანობის და განვითარების ქსელი“ (N4ED) ფარგლებში, კონფერენცია თემაზე -

„ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება“ გაიმართა. პროექტს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია (NALAG), კვლევით ცენტრ - PMC (საქართველო)-სთან და ლატვიის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ასოციაციასთან (LALRG) თანამშრომლობით ახორციელებს. კონფერენციაზე წარდგენილ იქნა მუნიციპალიტეტებში ჩატარებული კვლევების

პირველადი შედეგები ბიუჯეტის დაგეგმვის, ანგარიშგების პროცესებისა და მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ.

- 18.10.2018. ქუთაისი. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდული ფორუმი - 2018"-ის რეგიონულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული ფორუმი ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდა დელეგატთა მონაწილეობით შექმნილი პლატფორმის გაძლიერებას, ბიუჯეტის პროექტის შეფასების კრიტერიუმების განხილვასა და 2019 წლის ფინანსური დოკუმენტის დაგეგმვის პროცესში მათი გამოცდილების გათვალისწინებას, ასევე ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულების ხელშეწყობასა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ღონისძიება, რომელიც ევროპის საბჭოს ,,ადგილობრივი დემოკრატიის ევროპული კვირეულის" ფარგლებში მოეწყო, თბილისის საკრებულოს ინიციატივით, ათეა-სა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერითა და საქართველოს პარლამენტისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით განხორციელდა.

საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანი ვიზიტები და აქტივობები

საზღვარგარეთის ქვეყნების ქალაქებთან, თვითმმართველობის ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ეკონომიკის, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და სხვა სფეროებში ურთიერთობების დამყარების, ასევე დაძმობილებულ და პარტნიორ ქალაქებთან ურთიერთობების წარმართვისა და მათთან თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით, საკრებულოს თავმჯდომარე მონაწილეობს სხვადასხვა საქმიან ვიზიტებში და მივლინენებში როგორც საზღვარგარეთ, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანი ვიზიტები:

- 26-29 მარტი. ქ. სტრასბურგი. ევროპის საბჭოს კონგრესის 34-ე სესია. კონგრესზე წარდგენილ იქნა ევროპის საბჭოს სადამკვირვებლო მისიის ანგარიში საქართველოში 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შესახებ, რომლითაც, მთლიანობაში, დადებითად შეფასდა არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარების პროცესი. აგრეთვე, შედგა შეხვედრა კონგრესის გენერალურ მდივანთან, ანდრეას კიფერთან. სესიის ფარგლებში, საქართველოს დელეგაცია მონაწილეობდა სხვადასხვა თემატურ შეხვედრებსა და დისკუსიებში.

- 25-28 აპრილი. ქ. კრაკოვი. „ევროპის ადგილობრივი თვითმმართველობების მე-4 საერთაშორისო კონგრესი“. გაიმართა შეხვედრა „ეკონომიკური ფორუმის საბჭოს“ თავმჯდომარესთან, ზიგმუნტ ბერდიჰოვსკისთან და საბჭოს სხვა წევრებთან თვითმმართველობის გამოწვევებსა და მომავალი თანამშრომლობის საკითხებზე. კონგრესზე ურბანული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ინოვაციების გაცნობა მოხდა. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ინფორმაციის გაზიარება გარემოს დაცვის საკითხებზე, მწვანე სივრცეების განვითარებასა და თანმდევ გამოწვევებზე; პოლონეთის, ლატვიის, ბელარუსის და გერმანიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებას. შეხვდა შედგა საერთაშორისო კომპანიის „sound

diplomacy" წარმომადგენლებთან, რომელიც მუშაობს ღამის ეკონომიკის განვითარების საკითხებზე ისეთ ქალაქებთან, როგორიცაა: ლონდონი, ბერლინი, ვილნიუსი და ა.შ. შეხვედრები გაიმართა ასევე კომპანიებთან, რომლებიც მუშაობენ მუნიციპალიტეტებში პარკირების საკითხებზე და ქალაქ მალაგას ტურიზმის სამსახურის უფროსთან; გაფორმდა შეთანხმება სამომავლო ურთიერთობებზე. გაიმართა შეხვედრები და მოხდა მოსაზრებების გაზიარება მინსკის, პოლონეთისა და უკრაინის სხვადასხვა ქალაქების დელეგაციებთან. შედგა საჯარო შეხვედრები ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან. დაიგეგმა შემდეგი შეხვედრა ქ.თბილისში, 2018 წლის 26 მაისს - „კრინიცას საერთაშორისო ფორუმი თბილისში". აღნიშნული შეხვედრა წარმატებით ჩატარდა და მას საქართველოს მთავრობასთან ერთად, პოლონეთის პრეზიდენტიც დაესწრო.

- 17-20 ივნისი. ქ. სტრასბურგი. ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების კონგრესის კომიტეტის სხდომა. სხდომაზე კომიტეტის წევრებმა

განიხილეს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების როლი, ასევე, ევროპის საბჭოს სხვადასხვა სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის საკითხები. კონგრესში გაიმართა შეხვედრები უკრაინისა და სერბეთის დელეგაციებთან.

- 4-7 სექტემბერი. ქ. კრინიცა. ეკონომიკური ფორუმი. ფორუმის ფარგლებში შედგა შეხვედრები სხვადასხვა ქალაქების მმართველ პოლიტიკოსებთან, რომელზეც განხილულ იქნა ქალაქების მართვის პრაქტიკა და გამოწვევები, ტრანსპორტისა და ეკოლოგიის საკითხები. საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიებში. შეხვედრა გაიმართა პოლონეთის, ლიეტუვისა და უკრაინის დელეგაციებთან თემაზე - ქალაქების ციფრული ტრანსფორმაცია ადგილობრივი ხელისუფლების მოქნილობისთვის.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ თბილისში მოიწვია სხვადასხვა ქალაქების წარმომადგენლობითი ორგანოების თავმჯდომარეები.

➢ 15-17 ოქტომბერი. კიევი. ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და კიევის საქალაქო საბჭოს შორის.

საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციაში - „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“

VI მოწვევის საკრებულოს შემადგენლობაში შეიქმნა ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 33 წევრით.

ფრაქციის საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

- ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა;
- დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა;
- ფრაქციაში გაწევრიანებისა და ფრაქციიდან გასვლის ნებაყოფლობითობა;
- თანასწორობა კანონის წინაშე.

ფრაქცია შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულებების მქონე საკრებულოს წევრთა მიერ, უფლებამოსილებების ეფექტურად განხორციელებისა და საქმიანობის კოორდინირებულად წარმართვის მიზნით.

ფრაქციის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა **33 სხდომა.**

ფრაქციის სხდომებზე განხილულ იქნა **53 საკითხი.**

ფრაქციაზე განხილული საკითხები:

საანგარიშო პერიოდში ფრაქციის მიერ განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხები, მათ შორის:

- საკრებულოს წევრების 2018 წლის აქტივობების ძირითადი მიმართულებების შესახებ;
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისა და კომისიების 2018 წლის სამუშაო გეგმის შესახებ;
- თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ და ქ. თბილისის მერიას შორის კოორდინაციის გეგმის შემუშავების შესახებ;
- დედაქალაქში დასაქმების ფორუმის მიმდინარეობის და სამომავლოდ გასამართი ღონისძიებების შესახებ;

- საკრებულოს სხდომაზე განსახილველი სხვადასხვა საკითხების განხლივის შესახებ;

ასევე

- მუნიციპალიტეტის მერის და მერიის შესაბამისი უფლებამოსილი პირების ანგარიშების მოსმენა;
- დედაქალაქში დაგეგმილ და მიმდინარე პროექტებზე ინფორმაციების მოსმენა და სხვადასხვა პრეზენტაციების გამართვა.

მუშაობა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში

➢ ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია

კომისიის მიზანია: ქალაქ თბილისის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, სამშენებლო ბიზნესის სტიმულირება, საქალაქო მეურნეობის დარგების

განვითარების პრიორიტეტების შესაბამისად, ინფრასტრუქტურის მოწყობის, განვითარებისა და რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვა და სამართლებრივი აქტების პროექტებისა და დასკვნების შემუშავება.

კომისიის საქმიანობა:

- განიხილავს საკრებულოს მიერ დედაქალაქში ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის საკითხებს და ამზადებს შესაბამის დასკვნებს.
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს.
- თავის საქმიანობას ახორციელებს დებულების, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

კომისიის შემადგენლობაშია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 10 წევრი. საანგარიშო პერიოდში საკრებულოსურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის მიერ გაიმართა 30 სხდომა. კომისიის 30 სხდომაზე განხილულიადღის წესრიგით გათვალისწინებული177 საკითხი.

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში განსახორციელებელი ფუნქციური ზონის 137 ცვლილება (დღის წესრიგით გათვალისწინებული 16 პროექტი), აქედან დადებითი რეკომენდაცია მიეცა 125 ზონალურ ცვლილებას, 3 ფუნქციური ზონალური ცვლილება გადაიდო დამატებითი შესწავლის მიზნით, ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარების თვალსაზრისით 9 ზონალურ ცვლილებას მიეცა უარყოფითი შეფასება.



ასევე, საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად განხილული და შესწავლილი იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებების, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტებისა და განაშენიანების რეგულირების კორექტირებული გეგმების **46 პროექტი** (39 დადებითი, 4 უარი, 3 გადადებულია დამატებითი შესწავლის მიზნით).



კომისიის წევრების მიერ პერიოდულად იგეგმება და ხორციელდება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროექტების ადგილზე დათვალიერება, მათ შორის თბილისის განვითარების ფონდის წარმომადგენლებთან ერთად კომისიის წევრები გაეცნენ მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებს, რომელიც ორბელიანის და გუდიაშვილის მოედნების და მათ მიმდებარე ტერიტორიების რეაბილიტაციის მიზნით ხორციელდება.

კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის ფარგლებში კომისიის წევრები აქტიურად თანამშრომლობენ დედაქალქში სხვადასხვა სერვისის მიმწოდებელ კომპანიებთან. თანამშრომლობის ფარგლებში, პერიოდულად იგეგმება ერთობლივი ღონისძიებები საქალაქო მეურნეობის მიმართულებით მიმდინარე და დაგეგმილი სამუშაოების გაცნობის მიზნით.

“GWP“

„ყაზტრანსგაზი“

დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა

მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობა ფაქტიურად დასრულებულია და



საკრებულო მას უახლოეს ხანში დაამტკიცებს. „სითი ინსტიტუტის“ მიერ წარმოდგენილი გენერალური გეგმის ძირითადი კონცეფციაა: მწვანე, შეკავშირებული, კომპაქტური და მედეგი ქალაქი. ეს კონცეფცია თავიდანვე დადებითად იყო შეფასებული დედაქალაქის მერიის მხრიდან, შესაბამისად ის შენარჩუნებული და სრულიად გაზიარებულია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და „სითი ინსტიტუტის“ ერთობლივი მუშაობის შედეგად:

- დაზუსტდა ზონირების რუკა;
- დაზუსტდა ფუნქციური ზონები;
- დამუშავდა ზონირების ბალანსი;
- დაიხვეწა რუკა, დატანილ იქნა გაცემული სამშენებლო ნებართვები და გრგ-ები, შეიქმნა თემატური რუკები, რომელშიც აისახა შიდა საუბნო გამწვანებები, ხაზობრივი ნაგებობები;
- ცალკეულ ტერიტორიებზე შეიზღუდა სამშენებლო განვითარება შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: გეოდინამიკური საფრთხეების არეალები; მდინარეების ხეობები, კალაპოტები, წყალდაცვითი ზონები; სატყეო არეალები; სასაფლაოების სანიტარული ზონები;

- განაშენიანების კონტურის შიგნით მოხდა ცალკეული არეალების დაზუსტება, ამ არეალებში მოექცა ის ტერიტორიები, სადაც უკვე დაწყებული იყო განაშენიანების პროცესი;
- დაზუსტდა ჩარჩო გეგმების, განაშენიანების რეგულირების გეგმების, საპარკო პროექტების და კვლევების არეალები. დაიგეგმა 4 ახალი საქალაქო პარკის პროექტირება-მოწყობა და 11 განაშენიანების ჩარჩო გეგმა (ლისის ტბა, დიღომი, თბილისის ზღვა და ა.შ.);
- არეალების განვითარება მოხდება ჩარჩო გეგმების ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით;
- ჩარჩო გეგმების დამუშავების პროცესში, მშენებლობის ახალი ნებართვების გაცემა და გრგ-ების დამუშავება არ შეიზღუდება იმ შემთხვევაში, თუ პროექტები არ გააუარესებს ქალაქმშენებლობით პირობებს;
- ჩარჩო გეგმების დასრულებამდე შეჩერდება ფუნქციური ზონის ცვლილებები, გარდა დამტკიცებული გრგ-ების საფუძველზე ცვლილებისა;
- დამტკიცებულ გრგ-სა და გდ-ში ცვლილების შეტანა განხორციელდება შესაბამის საპროექტო არეალში დასამუშავებელი ,,ჩარჩო გეგმის“ ძირითად პრინციპებთან და პრიორიტეტებთან შესაბამისობაში მოყვანის პირობით;
- დამტკიცებული გდ-ს საფუძველზე გრგ-ს დამუშავება განხორციელდება მხოლოდ საპროექტო არეალში დასამუშავებელი ,,ჩარჩო გეგმის“ ძირითად პრინციპებთან და პრიორიტეტებთან შესაბამისობაში მოყვანის პირობით;
- დაზუსტდა რეკრეაციული ზონები;
- დაიგეგმა განსახორციელებელი სამუშაოები, მათი აღსრულების ეტაპები და ვადები.

➢ გარემოს დაცვის კომისია

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის კომპეტენციას განეკუთვნება სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და/ან წარმოდგენილ პროექტებზე დასკვნის მომზადება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება:

- გარემოს დაცვას;
- გარემოს დაცვის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისათვის ხელშეწყობას;
- გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენების მიზნით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- გარემოს დაცვის ღონისძიებათა აქტიურ პროპაგანდას, სხვადასხვა გარემოსდაცვითი პროგრამების შემუშავებას;
- გარემოს არსებული მდგომარეობის შესწავლა-შეფასებასა და მისი გაუმჯობესების მიზნით ღონისძიებათა განსაზღვრას;
- ბუნებრივ გარემოზე საწარმოო საქმიანობის ზეგავლენას;
- გამწვანება-განაშენიანებას, დაზიანებული და განადგურებული ტერიტორიების აღდგენას;
- საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციების აღკვეთასა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავებას;
- შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობის, მათი პოპულაციების მართვის წესს და ასევე, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას;
- დედაქალაქის ტერიტორიაზე წიაღისა და წიაღისეულის დაცვასა და აღწერის წარმოებას;

კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება 8 წევრით.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა გარემოს დაცვის კომისიის **25 სხდომა.**

კომისიის მიერ შესწავლილი და განხილული იქნა **53 საკითხი.**

კომისიის მიერ საანგარიშო პერიოდში განხილული საკითხებია:

- დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული ფუნქციური ზონის ცვლილებები;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის“ დაფუძნებასთან დაკავშირებული საკითხი;
- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცებასთან დაკავშირებული საკითხი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები;
- საკადრო საკითხები.

მაჟორიტარი დეპუტატის საქმიანობა

სამაჟორიტარო ოლქში იდენტიფიცირებული პრობლემები

მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციების გაანალიზებით, სამაჟორიტარო ოლქში სხვადასხვა მიმართულებებით პრობლემები გამოვლინდა. კერძოდ:

- ინფრასტრუქტურული;
- ტრანსპორტის;
- ტერიტორიების გამწვანების და რეკრეაციის;
- სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის;
- მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების.

აღნიშნულის გარდა, მოსახლეობისთვის კვლავ უმწვავეს პრობლემად რჩება სამაჟორიტარო ტერიტორიაზე ე.წ. „ლილოს ნაგავსაყრელის“ არსებობა.

უცხოელი ექსპერტების ჩართულობით განხორციელდა შესაბამისი კვლევა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, გამოვლენილი პრობლემების მოგვარების მიზნით, დაისახა სხვადასხვა ღონისძიებები.

ამ ეტაპზე, უჯრედის გასაფართოებლად, პოლიგონზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები. სამომავლოდ დაგეგმილია წყლის გამწმენდი ნაგებობების და ფილტრატის მოდერნიზება. ასევე, იგეგმება გაზის შემკრები დანადგარის დამონტაჟება, რაც ხელს შეუწყობს არსებული პრობლემების აღმოფხვრას.

აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსების საკითხი ასახულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით.

წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული აქტივობები

- **მოქალაქეებთან კომუნიკაცია**

წარმომადგენლობის ფუნქციონირების პერიოდში, ორგანიზებული იქნა მაჟორიტარი დეპუტატის 30 შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მოხდა 750-მდე მოქალაქესთან გასაუბრება. სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ მოქალაქეებთან კომუნიკაციის მიზნით, ჩატარდა 18 გასვლითი შეხვედრა. საერთო ჯამში, ზეპირი კონსულტაცია გაეწია 1050-მდე მოქალაქეს.



მაჟორიტარი დეპუტატის სახელზე რეგისტრირებულია 176 განცხადება. წერილობითი შუამდგომლობა გაეწია 176 მოქალაქეს, მათ შორის დადებითად დაკმაყოფილდა განხილული განცხადებების დაახლოებით 90%, დანარჩენი განხილვის პროცესშია.



➢ ინფრასტრუქტურა

წარმომადგენლობის ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და სამგორის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- გარე განათების ბოძების დამონტაჟება;
- სკვერების რეაბილიტაცია, ახალი სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- დაზიანებული ნაგვის ურნების შეცვლა.

<u>საგზაო ინფრასტრუქტურა</u>

– სამუშაოები განხორციელებულია შემდეგ ქუჩებზე:

- წინუბანი, ხევსურეთის ქუჩა - დაიგო ასფალტი;
- ორხევი, რუსთაველი ქუჩა №2, №4, №6, №8, №12 -ის მიმდებარედ - დაიგო ასფალტი;
- აეროპორტის დასახლება, ჭანკვეტაძის ხეივანი - დაიგო ასფალტი;
- კახეთის გზატკეცილი - დაიგო ასფალტის საფარის ქვედა ფენა;
- პატარა ლილო, აღმაშენებლისა და თამარ მეფის ქუჩა - განხორციელდა ორმოული სამუშაოები;
- წინუბანი, ხევის ქუჩა - დაიყარა ანაფრეზი;
- ლილოს დასახლება, მე-4 კვარტლის მე-4 კორპუსის მიმდებარედ - დაიგო ასფალტი;
- ლილოს დასახლება, სპორტ.კომპლექსი ლილოს ეზო;
- სადგური ლილო, სახლი N2;
- დიდი ლილო: სასაფლაოს გზა, ალ.ჯაფარიძის ქუჩიდან წმ. გიორგის ეკლესიამდე მისასვლელი გზა;
- ლილოს დასახლება I მ/რ კორპ.5;
- ლილოს დასახლება, ჭირნახულის 18-ის მიმდებარედ;

- ლილოს დასახლება IV კვ.კორპ.11;
- ხვედელიანის ჩიხი;
- რუსთაველის ქ. N12-10-8-6-4;
- აეროპორტის დასახლება კორპუსებთან მისასვლელი გზა;
- ვარკეთილის მეურნეობა. მშვიდობის ქ. N1;
- ვარკეთილის მეურნეობა. მეგობრობის ქ.N1;
- შალვა ჭანკოტაძის ქუჩა;
- გახოკიძის ქ.10;
- ორხევი, პეტრიჭის ქ.- ორმოული შეკეთება;
- ორხევი, ჩანტლაძის ქ. - ორმოული შეკეთება.

<u>სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგ ქუჩებზე:</u>

- მაისურაძის ქ. - ორმოული შეკეთება;
- ჩანტლაძის ქ. N30;
- ჩანტლაძის ქ. N22;
- აეროპორტის დასახლება კორპ N46;
- აეროპორტის დასახლება კორპ. N45.

<u>სკვერების რეაბილიტაცია, ახალი სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა</u>

- ლილოს დასახლება, მე- 4 კვ. კორ 2-ის მიმდებარედ - გაკეთდა სტადიონი;
- ალექსეევკის დასახლება, მესამე ქუჩა - გაკეთდა სტადიონი;
- ლილოს დასახლება, ჭირნახულის 18 - გაკეთდა სტადიონი;
- ლილოს დასახლება, სადგური ლილო - გაკეთდა სტადიონი;
- წინუბანი, მერი მდივნის ქუჩა - დაიდგა ტრენაჟორი;
- დიდი ლილო, ერეკლე მეორეს ქუჩა - დაიდგა ტრენაჟორი;
- სოფ.ნასაგური. ნაძვების ქ.N7-ის მიმდებარე -დაიდგა ტრენაჟორი;
- სოფ.ნასაგური. ნაძვების ქ.N10-ის მიმდებარე -დაიდგა ფანჩატური;
- ლილოს დასახლება, 4 კვ. კორპ.N11 - ის მიმდებარედ - სკვერის რეაბილიტაცია;
- ლილოს დასახლება 2 კვარტ.კორპ. N 9-ის მიმდებარედ - სკვერის რეაბილიტაცია;
- ლილოს დასახლება, ჭირნახულის 18-ის მიმდებარედ - დაიდგა ტრენაჟორი;
- მუხაძის ქუჩაზე - მოეწყო ბავშვთა გასართობი მოედანი;

- პეტრიძის ქუჩაზე -მოეწყო ბავშვთა გასართობი მოედანი;
- ბესარიონ ქებურიას მე-4 ჩიხისა და მე-3 ქუჩის კვეთის მიმდებარედ - მოეწყო სტადიონი.

<u>ტრანსპორტი</u>

- შეკეთდა ავტობუსის მოსაცდელები;
- მოქალაქეთა ინტერესებისა და თხოვნის გათვალისწინებით, ავტობუსების N1 და N30 მარშრუტს თითო-თითო ავტობუსი დაემატა;
- დამონტაჟდა სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერები.

<u>ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა</u>

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე ამ ეტაპზე 37 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა დარეგისტრირებული. ამხანაგობების განვითარების და ხელშეწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობა ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში, ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, მათ შორის:

- მუხაძის ქ. 6/3 - გაკეთდა სახურავი;
- ამ ეტაპზე გამგეობის 100%-იანი დაფინანსებით , მიმდინარეობს 4 სადარბაზოს სარემონტო სამუშაოები.

➢ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით, წარმომადგენლობის მიერ პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები, რომლებიც ეგზავნება სამგორის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს.

სოციალური ქულების გადამოწმების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში პერიოდულად იგზავნება განცხადებები.

<u>საცხოვრებელი ფართების დაკანონება</u>

სამაჟორიტარო ოლქში ერთ-ერთი აქტუალური საკითხია ფართების დაკანონება. ამ კუთხით წარმომადგენლობაში მოსახლეობის მომართვიანობა საკმაოდ მაღალია. პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე, დედაქალაქის ხელმძღვანელობის, კონკრეტულად ქალაქის მერის და თბილისის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა პრინციპული გადაწყვეტილება - იმ მოსახლეობას, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ცხოვრობენ დაკავებულ ფართებში და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არ ჰქონდათ შესაძლებლობა შეეცვალათ თავიანთი საცხოვრებელი პირობები, აღნიშნული ფართები გადაეცემათ საკუთრებაში.

მაჟორიტარი დეპუტატი აღნიშნული საკითხის შესწავლა-მოგვარების მიზნით, სამგორის რაიონის გამგეობასთან ერთად, აქტიურად ხვდება მოსახლეობას. კერძოდ, დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრები შემდეგ მისამართებზე: ქიზიყის, ქებურიას, გახოკიძის, ერეკლე II –ის, ნამორაძის, მუხაძის ქუჩებზე, კახეთის გზატკეცილზე და აეროპორტის დასახლებაში.

წარმომადგენლობა აქტიურად არის ჩართული აღნიშნული საკითხის მოგვარებაში. კერძოდ, მუდმივ კომუნიკაციაშია სამგორის რაიონის გამგეობის და თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს უფლებამოსილ წარმომადგენლებთან. წარმომდგენლობის თანამშრომლები, საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებასთან დაკავშირებით მოსახლეობას კონსულტაციას უწევენ.

ამ ეტაპზე უკვე დაკანონებულია:

- კახეთის გზატკეცილი N89, სადაც 33 ოჯახი გახდა უძრავი ქონების მესაკუთრე;
- ბერიაშვილის ქ.N6 - 17 ოჯახი;
- ალექსეევკას დასახლება (ყოფილი ქებურიას ქ. მიმდებარედ) – 3 ოჯახი;

- ლილოს დასახლება, I მ/რ კორპ N2ბ- 1 მესაკუთრე;
- ლილოს დასახლება, II მ/რ კორპ N5 – 1 მესაკუთრე;
- ლილოს დასახლება, მე-4 კვარტლის კორპ N11 – 1 მესაკუთრე;
- ლილოს დასახლება - 1 მესაკუთრე;
- სოფელი ნასაგური- 1 მესაკუთრე.

წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული ინიციატივები

<u>დასაქმების ფორუმი</u>

მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივითა და წარმომადგენლობის ორგანიზებით, სამგორის რაიონში, კერძოდ, ლილოს დასახლებაში გაიმართა დასაქმების ფორუმი, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობისათვის რაიონში ხელმისაწვდომი ვაკანსიების

გაცნობას. დასაქმების მსურველებს საშუალება მიეცათ გასაუბრებოდნენ დამსაქმებლებს და მათთვის სასურველ ვაკანსიებზე განცხადებები შეევსოთ. ფორუმში მონაწილეობა 20-მდე კერძო კომპანიამ მიიღო. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მიმდინარეობს შევსებული განცხადებების გადახედვა და შეძლებისდაგვარად მათი დაკმაყოფილება.

<u>უფასო სამედიცინო გამოკვლევები</u>

მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივითა და წარმომადგენლობის ორგანიზებით, №13-06 ოლქში არსებულ საბავშვო ბაგა-ბაღების ნაწილის პედაგოგებსა და პერსონალს თბილისის ზღვის ჰოსპიტალში უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარდათ. ბაგა-ბაღების 130-მდე თანამშრომელს სხვადასხვა პროფილის ექიმმა გაუწია კვალიფიციური გამოკვლევა-კონსულტაცია.

მომავალში კვლავ იგეგმება ბაგა-ბაღების თანამშრომლეთა გამოკვლევების ჩატარება.

<u>ინიციატივა ,, ლიბერთი ექსპრესის“ მომსახურება</u>

ნასაგურის, წინუბნის, დიდი და პატარა ლილოს, ასევე ვარკეთილის მეურნეობის მოსახლეობა, წლების განმავლობაში ბანკომატების არარსებობს გამო პენსიის აღებასა და სხვა საბანკო მომსახურების მიღებას ადგილზე ვერ ახერხებდა.

მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივით, სამგორის რაიონის ხუთ დასახლებას ,,ლიბერთი ექსპრესი“ ემსახურება .

<u>საგანმანათლებლო ინიციატივები</u>

,,თბილისის მუზეუმების კვირეულის“ ფარგლებში, დეპუტატმა დიდი ლილოს №217-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში უმასპინძლა, სადაც მოსწავლეებს საშუალება მიეცათ მუზეუმში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესში ჩართულიყვნენ და 3D ფორმატის გამოსახულების საშუალებით, ქართველი რომანტიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრებას და შემოქმედებას გაცნობოდნენ.

მაჟორიტარი დეპუტატის ინიციატივითა და წარმომადგენლობის ორგანიზებით, ლილოს დასახლებაში არსებული №107-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის მოეწყო საინფორმაციო ტური თბილისის ტექნოლოგიურ პარკში, სადაც მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეებს.

<u>სამაჟორიტარო ტერიტორიის გეოსაინფორმაციო (GIS) მონაცემები</u>

შესაბამისი სპეციალისტების მონაწილეობით, სამაჟორიტარო ოლქში გეოსაინფორმაციო სისტემების საშუალებით მონაცემების შეგროვება განხორციელდა. მიღებული მონაცემები დამუშავდა და შეიქმნა შესაბამისი საინფორმაციო ბაზა. აღნიშნული მონაცემების მიხედვით მომზადდა სხვადასხვა რუკები.





სამომავლო გეგმები

ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- ნასაგურში, ტბის ქუჩა- ანაფრეზის დაყრა;
- თვალჭრელიძის ქუჩა - 3460 გრძივი მეტრი სიგრძის წყალსადენის ქსელის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოს განხორციელების შედეგად თვალჭრელიძის შესახვევში, ზაზა დამენიას ქუჩაზე და მიმდებარე შესახვევებში მცხოვრებ 170-მდე ოჯახს წყლის პრობლემა მოუგვარდება;
- კახეთის გზატკეცილი - ბორდიურების, ტროტუარების, სანიაღვრე ქსელისა და ორზოლიანი საავტომობილო გზის მოწყობა;
- ნასაგურში, აღმართის ქუჩა – 2 500 კვ.მ. ფართობზე ორფენიანი ასფალტის დაგება;
- ნასაგურში, ფასანაურის ქუჩა – 1 500 კვ.მ. ფართობზე ასფალტის საფარის დაგება;
- ნასაგურში, ნახშირგორის ქუჩა - 6 000 კვ.მ. ფართობზე ასფალტის საფარის დაგება;
- წინუბანში რკინიგზის ქუჩა - ასფალტის საფარის დაგება;
- ორხევში სააკაძისა და ესენინის ქუჩები - პირველ ეტაპზე მოხდება მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგება კომპანია ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ, რის შემდეგაც რაიონის გამგეობის მიერ დაიგება გზის საფარი;
- ორხევში, ჩანტლაძის №30-ში - ტროტუარის გაკეთება;
- ორხევში-მიმდინარე წელს მოხდება კაკაბაძის ქუჩის მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაცია;
- წინუბანში, მერი მდივნის ქუჩა - სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერის დამონტაჟება;
- ლილოს დასახლებაში, №111-ე ბაგა-ბაღების მიმდებარედ - სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერების დამონტაჟება;
- სამუშაოები და სკვერის კეთილმოწყობის სამუშაოები;
- ორხევში, მუხაძის №17-ში - გარე განათების ბოძების დამონტაჟება;

სკოლამდელი აღზრდა და განათლება

სამაჟორიტარო ოლქში არის 9 საბაშვო ბაგა-ბაღი. აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვების განსაკუთრებულად დიდი რაოდენობა დაფიქსირდა ლილოს დასახლებაში. საკითხის პრობლემატიკიდან გამომდინარე მოხდა წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ საკითხის შესწავლა და აღნიშნულ ტერიტორიაზე იგეგმება ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების (2) მშენებლობა. საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის შერჩეულია ადგილი და ამ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, ქონების მართვის სააგენტოს მხრიდან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადმოცემის პროცესი დასრულებულია.

ლილოს დასახლების №107-ე საჯარო სკოლის წარმომადგენლებმა მაჟორიტარ დეპუტატს მიმართეს, შუამდგომლობა გაეწია საქართველოს განათლების სამინისტროს შესაბამის უფლებამოსილ სამსახურთან, სკოლაში პანდუსის გაკეთებისა და სკოლის სახურავის რეაბილიტაციისათვის.

მაჟორიტარი დეპუტატის შუამდგომლობით, იგეგმება საჯარო სკოლაში აღნიშნული სამუშაოების განხორციელება. ამავე სკოლის მიმდებარე ტერიტორიზე განთავსებული შენობა-ნაგებობა გადმოცემულია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, მისი რეაბილიტაციის და შემდგომში სპორტული კომპლესის განთავსების მიზნით.

სხვადასხვა ინიციატივები

წარმომადგენლობა აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას მაჟორიტარი დეპუტატის ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზების, ადგილობრივი საკითხების განხილვისა და მათ გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობისათვის. აღნიშნულის მიზნით, წარმომადგენლობას მომზადებული აქვს არაერთი ინიციატივა და ამ ინიციატივების განხორციელებისათვის სხვადასხვა ღონისძიება.

მნიშვნელოვანი სამომავლო პროექტი

საქართველოს მთავრობის და თბილისის მერიის ახალი, ერთობლივი პროექტი: სამგორი-ლილოს, სამგორი-აეროპორტის მიმართულებით მიწისზედა მეტროს ახალი ხაზი აშენდება; თბილისს 7 ახალი მეტროსადგური ექნება. ესენია:

- კახეთის გზატკეცილი
- ისთ ფოინთი
- ორხევი
- აეროპორტის დასახლება
- აეროპორტი
- ლილოს დასახლება
- ლილოს ბაზრობა

აღნიშნული პროექტის განხორციელება 2019 წელს დაიწყება; მიწისზედა მეტროს ეს ხაზი დაახლოებით 200 ათას ადამიანს მოემსახურება;

ამ პროექტის განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მიწისზედა მეტროს მშენებლობა სამგორში, განსაკუთრებით ლილოში, ამ რაიონის მცხოვრებლებს საშუალებას

მისცემს, კომფორტულად და სწრაფად გადაადგილდნენ ქალაქის
სხვადასხვა მიმართულებით.